№272 2013 წლის 6 დეკემბერი ქ. თბილისი

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამდივნოს ჩამოყალიბებისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

1. „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N258 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ჩამოყალიბდეს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამდივნო (შემდგომში - სამდივნო) შემდეგი შემადგენლობით:

მერაბ ჯაფარიძე - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი

ბესიკ გულბანი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის სამთავრობო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

ნინო კაკალია - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის საოქმო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

2. სამდივნომ უზრუნველყოს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე (შეხვედ-

რების ორგანიზება, ოქმების წარმოება, ექსპერტებისა და სპეციალისტებ-
ის მოწვევა, სხდომის მასალებით უზრუნველყოფა და სხვა ორგანიზაცი-
ული საკითხების გადაწყვეტა).

ირაკლი ღარიბაშვილი